საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12602/01
07/12/2021

12602-01-2-202112071221

შპს „შაუმიან გრუპს“
მის: ქ. მარნეული, დ. შაუმიანი, მე-8 ქუჩა, N23
ელ. ფოსტა: shaumiangroup@gmail.com

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 26 ნოემბრის N21276 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. შაუმიანში პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპისთვის წინასწარ ჩატარებული გაანგარიშებების ანალიზის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნული გაანგარიშებების მონაცემები (ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები);
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს სამუშაო რეჟიმის შესახებ (წლის განმავლობაში სამუშაო დღეებისა და საათების მითითებით);
- სკრინინგის განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს საწარმოო დანადგარების საპასპორტო მონაცემები (ტიპი, ტექნიკური მონაცემები);
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში შემოტანილი ნარჩენები იქნება გასუფთავებული (გარეცხილი). შესაბამისად, თუ კომპანიის მიერ ტექნოლოგიური ციკლისთვის შემოტანილი ნარჩენი იქნება წინასწარ დამუშავებული (გარეცხილი), სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ კომპანი(ებ)ის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების წინასწარ დამუშავებას;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გადასამუშავებელი ნარჩენის შესახებ ინფორმაცია, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით გათვალისწინებული კოდისა და დასახელების მინიჭებით;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში ნედლეულის შემოტანა დაგეგმილია საქართველოში ოპერირებადი სუბიექტებისგან, თუმცა ასევე განიხილება იმპორტის შესაძლებლობაც. ამასთან აღნიშნულია, რომ „კომპანია, ტექნოლოგიური ხაზიდან გამომდინარე, გეგმავს მხოლოდ გრანულირებული-დაქუცმაცებული და გარეცხილი-გასუფთავებული იმპორტირებული ნარჩენების მიღებას და გადამუშავებას“. დაზუსტებას საჭიროებს გადამუშავების მიზნით ნარჩენების სხვა ქვეყნებიდან იმპორტის საკითხი. ნარჩენების სხვა ქვეყნებიდან შემოტანის შემთხვევაში, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს იმპორტისთვის განკუთვნილი ნარჩენების კოდი და დასახელება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ,,საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისათვის, საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის დაშვებული ნარჩენების ნუსხის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის N259 დადგენილებით დამტკიცებულ დანართ „ა“-ით განსაზღვრულ კოდებს და დასახელებებს;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის ერთ-ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ 83.10.12.659) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე